საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)

# წლიური ანგარიში 2025

# სარჩევი


2025 წლის წლიური ანგარიში....2
წინასიტყვაობა....2
გეოგრაფიული დაფარვა....5
მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები....5
ორგანიზაციის სტრუქტურა....6
ჩვენი გუნდი....7
წლიური შემოსავლები....7
მოკლე ინფორმაცია 2025 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ....8
საინფორმაციო-საგანმანათლებლო ანიმაციები....10
ღონისძიებები....11
კვლევა/ანგარიში....11
მიმდინარე და განხორციელებული პროექტები....11
პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან....12
მიმართულებები....13
თემის განვითარების პროგრამა....14
სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა....25
სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა....27
გავლენის ფონდი აქციო....30
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა....31
მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა....35
ევროინტეგრაციის ხელშეწყობის  პროგრამა....38
კონტაქტი....40

**საზოგადოებრივი ორგანიზაცია - ფონდი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“**

## 2025 წლის წლიური ანგარიში

## 30 წელი თქვენთვის და თქვენთან ერთად!

CSRDG დაარსდა 1995 წელს და უკვე 30 წელია მთელი ქვეყნის მასშტაბით საქმიანობს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის, ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისა და მდგრადი ინსტიტუტების განვითარების მიმართულებით.

დაარსებიდან დღემდე ორგანიზაციამ განახორციელა არაერთი კვლევითი და ანალიტიკური პროექტი, ხელი შეუწყო საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომების განვითარებას, შექმნა და გააძლიერა სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციების ქსელები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სოციალური მეწარმეობისა და სოციალური მომსახურებების განვითარებაზე, სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებაზე და მათთვის მორგებული ტექნიკური მხარდაჭერის მიწოდებაზე. ამასთან, იგი ერთ-ერთი პირველი იყო და დღესაც აქტიურად უწყობს ხელს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე ცოდნის გავრცელებას, ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობას, საზოგადოების ინფორმირებას სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ საკითხზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრაქტიკის განვითარებას ქვეყანაში.

## წინასიტყვაობა

ჩვენი ღირებულებებისადმი ერთგულებამ განსაზღვრა ის გზა, რომელმაც სამოქალაქო სექტორში 30 წლიანი მუშაობის შედეგად ჩამოგვაყალიბა ძლიერ კვლევით ორგანიზაციად, სანდო პარტნიორად და საზოგადოების განვითარების ხელშემწყობ აქტორად.

ჩვენთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2025 წლის საქმიანობის მიმოხილვა. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ორგანიზაციის წლიური ანგარიში, რომელიც ტრადიციულად საზოგადოებას წარედგინება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვიყოთ გამჭვირვალე ჩვენი დაინტერესებული მხარეების წინაშე და გაგიზიაროთ ის წვლილი, რომელიც ორგანიზაციამ შეიტანა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში.

წინამდებარე ინტეგრირებულ ანგარიშში გაერთიანებულია ორგანიზაციის წლიური პროგრამული ანგარიში და გლობალური შეთანხმების ანგარიში, მიღწეული შედეგების შესახებ (Communication on Engagement).

2007 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია მიერთებულია გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას, ხოლო 2010 წლიდან CSRDG არის ”ანგარიშგების

გლობალური ინიციატივის“ (Global Reporting Initiative /GRI) ორგანიზაციული მხარდამჭერი.

| |
|---|
| GRI COMMUNITY MEMBER 2025 „ანგარიშგების გლობალური ინიციატივა” წარმოადგენს საერთაშორისო ქსელურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების ანგარიშგების უნივერსალური ფორმატის შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება. |

| | |
|---|---|
| UN GLOBAL COMPACT COMMUNICATION ON PROGRESS<br>This is our **Communication on Progress** in implementing the principles of the **United Nations Global Compact** and supporting broader UN goals.<br>We welcome feedback on its contents. | გაეროს გლობალური შეთანხმება კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მასშტაბურ გლობალურ ინიციატივას წარმოადგენს. ის ეფუძნება ორგანიზაციათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას განახორციელონ მდგრადი განვითარების უნივერსალური პრინციპები და მხარი დაუჭირონ გაეროს მიზნების განხორციელებას. |

ამ ანგარიშის ფარგლებში კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მუდმივ ერთგულებას გლობალური შეთანხმების ათი უნივერსალური პრინციპის მიმართ ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და ანტიკორუფციული მიმართულებებით.

ამასთან, ვადასტურებთ მზადყოფნას გავაგრძელოთ თანამშრომლობა გლობალურ შეთანხმებასთან და შესაძლებლობის ფარგლებში ჩავერთოთ მის აქტივობებსა და ღონისძიებებში, ასევე მონაწილეობა მივიღოთ პარტნიორულ ინიციატივებსა და პროექტებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. საჭიროებისა და შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, განვიხილავთ გლობალური შეთანხმების ინიციატივაში ჩართული სხვა ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებს (Communications on Progress).

2025 წელი მნიშვნელოვანი გამოწვევების ფონზე წარიმართა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, ასევე ოპერაციული გარემოს სირთულეები, ზღუდავდა სექტორის საქმიანობას და გავლენას ახდენდა დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე. არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, ცალკეული ინიციატივების განხორციელება შეფერხდა და საჭირო გახადა პრიორიტეტების გადახედვა. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციამ შეძლო შედეგებზე ორიენტირებული მუშაობის შენარჩუნება და, რთული პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტის მიუხედავად, მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: სოციალური მომსახურებების განვითარება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, თემის განვითარება, სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა, ევროპული

ინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და პასუხისმგებლიანი ბიზნესპრაქტიკების (CSR) ხელშეწყობა. ორგანიზაციის პროგრამებმა გააძლიერა ადგილობრივი ჯგუფებისა და სოციალური საწარმოების შესაძლებლობები, გაზარდა საზოგადოების ინფორმირებულობა და გააფართოვა ინკლუზიური ეკონომიკური შესაძლებლობები რეგიონებში. ამ პროგრამების ფარგლებში 2025 წელს CSRDG-ი ახორციელებდა 7 პროექტს, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

განსაკუთრებით გამოვყოფდით რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს: სოციალური მომსახურებების მიმართულებით მიღწეულ პროგრესს, სადაც შინმოვლის პროგრამაში შემცირდა ბარიერები და დაინერგა უფრო ინკლუზიური, საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა; მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში რეგულაციების გაუმჯობესებას, მათ შორის სურსათში ტრანსცხიმების ნორმის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას; ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის ზრდას, რაც უზრუნველყოფილი იყო ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსებისა და საინფორმაციო აქტივობების საშუალებით; ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მიმართულებით მიღწეულ პროგრესს, სადაც განვითარდა საკონსულტაციო სერვისები და დაინერგა მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პრაქტიკები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის ექსპერტმა გააგრძელა გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტებზე დაფუძნებული პროფესიული სერტიფიკაცია, ხოლო ორგანიზაციამ წარმატებით უზრუნველყო კიდევ ერთი მსხვილი კერძო კომპანიისთვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მდგრადობის ანგარიშის მომზადება და გაუწია კონსულტაცია იმ ბიზნესებს, რომლებიც B Corp სტანდარტების დანერგვის პროცესში იმყოფებიან.

სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მიღწეულმა შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მიზნობრივი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა წარმოადგენს ეფექტიან მექანიზმს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და ინკლუზიური სერვისების გაძლიერებისთვის. მხარდაჭერილმა საწარმოებმა არა მხოლოდ შეინარჩუნეს ოპერირება რთულ გარემოში, არამედ შეძლეს შემოსავლების გენერირება, მომსახურებების გაფართოება და სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი ინიციატივების განვითარება სხვადასხვა რეგიონში. ამ პროცესში სოციალური საწარმოები ერთ-ერთ ყველაზე მდგრად აქტორებად ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი სერვისების, ეკონომიკური შესაძლებლობებისა და სოციალური ინოვაციების შენარჩუნებაში.

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია გავლენის ფონდი აქციოს როლი, რომელმაც 2025 წელს გააძლიერა სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემა მიზნობრივი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, ხელი შეუწყო საწარმოების მასშტაბირებას და შექმნა როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგების მიღწევის საფუძველი.

ასევე აღსანიშნავია თემის განვითარების პროგრამის მიღწევები, რომელმაც რთული გარემოს მიუხედავად უზრუნველყო ხელშესახები შედეგები როგორც ეკონომიკური გაძლიერების, ისე ადგილობრივი სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით. პროგრამამ შექმნა დამატებითი შემოსავლის შესაძლებლობები სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, გააძლიერა მცირე საოჯახო ბიზნესები და

დანერგა რესურსების მობილიზების ალტერნატიული მექანიზმები, მათ შორის ქრაუდფანდინგი, რამაც ხელი შეუწყო სოციალური სერვისების გაფართოებას.

ამასთანავე, 2025 წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციის რეგიონული როლის გაძლიერება - CSRDG-მა შეძლო საკუთარი გამოცდილებისა და მეთოდოლოგიის წარმატებით გადატანა რეგიონში, მათ შორის აზერბაიჯანში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან განხორციელებულმა სასწავლო და საკონსულტაციო პროგრამებმა დაადასტურა, რომ ჩვენი მიდგომები შესაძლებელია ეფექტურად გადატანილ და ადაპტირებულ იქნეს რეგიონულ კონტექსტში.

მთლიანობაში, მიღწეულმა შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კომპლექსურ გარემოშიც კი, პროგრამის მხრიდან ინსტიტუციური განვითარების, მცირე ოჯახური ბიზნესებისა და სოციალური მეწარმეობის და სექტორებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა წარმოადგენს მდგრადი და ინკლუზიური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზას.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო CSRDG-ის გუნდის, ჩვენი პარტნიორებისა და მხარდამჭერების ერთგულება და ძალისხმევა. სწორედ მათი ჩართულობისა და თანამშრომლობის შედეგად გახდა შესაძლებელი არა მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობების განხორციელება, არამედ ამ რთულ გარემოში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ორგანიზაციის თითოეული თანამშრომლის წვლილი, რომლებმაც მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით უპასუხეს წლის განმავლობაში არსებულ გამოწვევებს და მნიშვნელოვნად გააძლიერეს ორგანიზაციის ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობები.

**ეკა ურუშაძე,**

**აღმასრულებელი დირექტორი, CSRDG**

## გეოგრაფიული დაფარვა

ჩვენი საქმიანობების არეალი მოიცავს მთელს საქართველოს, თუმცა, ცალკეული მიმართულების ფარგლებში, ორგანიზაცია ინტენსიურად მუშაობს ცალკეულ მიზნობრივ რეგიონებში. კერძოდ, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, იმერეთი და კახეთი.

ჩვენი სათაო ოფისი მდებარეობს  ქალაქ თბილისში.

## მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები

საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

**ჩვენ ხელს ვუწყობთ** ქვეყნის მდგრად განვითარებას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების

გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეყობის გზით.

**ჩვენ პატივს ვცემთ,** თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

სტრატეგიული მიზანი: აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

## ორგანიზაციის სტრუქტურა



## ჩვენი გუნდი

| | |
|---|---|
| 1. ეკა ურუშაძე<br>2. ეკა დათუაშვილი<br>3. ნინო ვასაძე<br>4. ვახტანგ კობალაძე<br>5. მაკა ასამბაძე<br>6. მანანა მჭედლიშვილი<br>7. ქრისტინე კანდელაკი<br>8. დოდო გოქაძე<br>9. ეკატერინე (ანა) ილურიძე<br>10. ნათია მეტრეველი<br>11. ზურაბ ტატანაშვილი<br>12. ანა ნადირაშვილი<br>13. ლია თოდუა<br>14. ნინო ქიტუაშვილი | 15. თამარ გობეჯიშვილი<br>16. ლელა ხოფერია<br>17. ნონა ალადაშვილი<br>18. ლევან როსტომაშვილი<br>19. ქეთევან კალანდაძე<br>20. ნია ჭელიძე<br>21. დავით ჩიკვაიძე<br>22. ანა ფილაური<br>23. მარიამ მჭედლიშვილი<br>24. ნინი ხუგაშვილი<br>25. ნინი გელაშვილი<br>26. გვანცა გილაური |

### 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

დონორებისგან დაფინანსება წლების მიხედვით

- **2021 – ლარი 3,903,783**
- **2022 – ლარი 4,307,501**
- **2023 – ლარი 4,588,116**
- **2024- ლარი 3,898,703**
- **2025- ლარი 1,797,887**

## წლიური შემოსავლები

| **დასახელება** | **2021** | **2022** | **2023** | **2024** | **2025** |
|---|---|---|---|---|---|
| გრანტის სახით მიღებული შემოსავლები | 3,903,783 | 4, 307, 501 | 4,588,116 | 3,898,703 | 1,531,582 |
| შემომწირველებისგან მიღებული თანხები | 27, 222 | 126,241 | 190,962 | 81,299 | 133,082 |
| ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი | 41, 786 | 3 390 | 139,602 | 234,075 | 133,223 |
| **ჯამი** | **3, 972, 791** | **4, 437, 132** | **4,918,680** | **4,214,077** | **1,797,887** |

## მოკლე ინფორმაცია 2025 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ

- ორგანიზაცია ახორციელებდა 7 საგრანტო პროექტსა და 3 საკონსულტაციო მომსახურებას;
- განხორციელდა 7 მცირე სათემო/საოჯახო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას;
- მეწარმე ქალებისთვის განხორციელდა კომპლექსური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავდა 5 ტრენინგს/შეხვედრას, მენტორინგსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს, ბიზნესის განვითარებისა და ფინანსური მართვის მიმართულებით. პროგრამაში ჩართული იყო 7 მეწარმე ქალი და 5 მენტორი ორგანიზაცია;
- განხორციელდა 1 ონლაინ ქრაუდფანდინგ კამპანია, რომელმაც უზრუნველყო სოციალური სერვისის გაფართოება დამატებით 30 ბენეფიციარისთვის.
- ორგანიზაციის ექსპერტთა ჩართულობით საქართველოს რეგიონებიდან 35 მონაწილისათვის ჩატარდა 3-დღიანი ტრენინგების ორი ციკლი რესურსების მობილიზაციის ალტერნატიულ მეთოდებზე, მათ შორის ბიზნესთან თანამშრომლობისა და ქრაუდფანდინგის მიმართულებით;
- განხორციელდა კვლევა სათემო ფონდების ეკოსისტემისა და საერთაშორისო გამოცდილების შესახებ, რომელიც მოიცავს ევროპული ქვეყნების პრაქტიკებს;
- CSRDG აგრძელებს აქტიურ მონაწილეობას European Community Foundation Initiative (ECFI)-ში, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ორ საერთაშორისო ღონისძიებაში: სასწავლო ვიზიტი უნგრეთში და ნეაპოლში გამართული ღონისძიება, სადაც წარადგინა ორგანიზაციის გამოცდილება ახალგაზრდების ჩართულობისა და თემის განვითარების მიმართულებით;
- მომზადდა და ვებ-გვერდზე(asocireba.ge; momxmarebeli.ge) განთავსდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების 7 განმარტებითი ანიმაცია;
- სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომზადდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები: 6 მოკლე ანიმაცია, 1 ბუკლეტი, 6 გასაფერადებელი ბავშვებისათვის, 1 ონლაინქვიზი და 14 ელექტრონული პოსტერი;
- 18 მედიასაშუალების 19 წარმომადგენლისათვის სურსათის უვნებლობის საკითხებზე ჩატარდა ორდღიანი საინფორმაციო-საგანმანათლებლო სემინარი;
- ჩატარდა მედიაკონკურსი სურსათის უვნებლობის საკითხებზე საუკეთესო მედიანამუშევრების გამოსავლენად და 3 გამმარჯვებულს გადაეცა პრიზები.

- საქართველოს რეგიონებში ჩატარდა 7 საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 183-მა მონაწილემ სხვადასხვა სექტორიდან;
- საქართველოს 17 მუნიციპალიტეტში შეგროვდა და ლაბორატორიულად შემოწმდა ჯამში 173 ნიმუში (31 მარგარინი, 92 პური, 35 მარგარინი და 15 ზეთი), მათ შორის ნაწილი - საერთაშორისო ლაბორატორიებში;
- განხორციელდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 3 მონიტორინგის ინიციატივა (თაფლი, მცენარეული ცხიმები, პური და ზეთი);
- პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა ანალიტიკურმა მუშაობამ და რეკომენდაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 2025 წელს ტრანსცხიმის ნორმის გამკაცრებაში, რომელიც დაახლოვდა ევროკავშირის რეგულაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებს;
- სოციალური სერვისების განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო შინმოვლის პროგრამის გაუმჯობესებას, მათ შორის მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერების შემცირებასა და შეფასების სისტემაში შედეგიანობის ინდიკატორების ინტეგრაციას;
- 34 სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელისათვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები შინმოვლის პროგრამის გაუმჯობესების საკითხებზე;
- ბოლნისში თემატური მუშაობის შედეგად შეიქმნა ადრეული ინტერვენციის პროგრამის განვითარების გეგმა და განხორციელდა პრაქტიკული მხარდაჭერა (ანალიზი, ბიუჯეტირება, სასწავლო ვიზიტი), რაც საფუძვლად დაედო ახალი სოციალური მომსახურების განვითარებას რეგიონში;
- CSRDG-ის ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციების (WHO, ADB და სხვ.) შეხვედრებში, სადაც წარადგინეს რეკომენდაციები მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესებისა და უფლებებზე დაფუძნებული სერვისების განვითარების მიმართულებით.
- პრობონო საქმეში 6 კომპანიის 23 კონსულტანტი იყო ჩართული. საერთო ჯამში, 203 პრო ბონო საათი დაიხარჯა;
- CSRDG-ის მედიაციით განხორციელდა 12 პარტნიორული პრო ბონო პროექტი კომპანიებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის; პროექტები მოიცავდა:6 ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას და 6 თემატურ ონლაინ ვებინარს (მარკეტინგი, ფინანსები, სამართალი, AI, Excel და სხვ.);
- პერსონალიზებული კონსულტაცია მიიღო 6 ორგანიზაციამ, ხოლო 322 წარმომადგენელმა ისარგებლა ვებინარებითა და ვორქშოფებით;
- CSRDG-მა გააფართოვა CSR საკონსულტაციო სერვისები და განაახლა შეთავაზებები CSR Knowledge Hub-ზე;

- განხორციელდა 8-თვიანი საკონსულტაციო პროექტი, რომლის შედეგად მომზადდა მსხვილი კერძო კომპანიის პირველი GRI სტანდარტებზე დაფუძნებული მდგრადობის ანგარიში;
- CSRDG-ის ექსპერტებმა საერთაშორისო დონეზე უზრუნველყვეს კონსულტაცია კომპანიებისთვის B Corp სერტიფიცირების პროცესში;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამამ მოქალაქეებს გაუწია 70 კონსულტაცია, რომელიც მოიცავდა უამრავ სამართლებრივ და არასამართლებრივ საკითხს.
- სოციალური მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერა გაეწია 19 სოციალურ საწარმოს, რომელთაგან 10 იყო სტარტაპი, 3 - განვითარების და 6 - გაფართოების ეტაპზე მყოფი საწარმო.;
- 2025 წელს გავლენის ფონდმა „აქციომ“ გააგრძელა სოციალური საწარმოების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. ფონდის პორტფელი 6 სოციალურ საწარმოს აერთიანებს, რომელთა განვითარებამ მოიცვა წარმოების გაფართოება, ახალი პროდუქტებისა და გაყიდვების არხების განვითარება, შემოსავლების ზრდა და სოციალური გავლენის გაძლიერება, მათ შორის ინკლუზიური დასაქმების, გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით;
- სოციალური საწარმოებისთვის გაცემულმა საგრანტო მხარდაჭერამ შეადგინა 212,962 ლარი, მათ შორის 35,145 ლარი სტარტაპებისთვის და 177,817 ლარი განვითარების მიმართულებით;
- CSRDG-მ ჩაატარა 67 სხვადასხვა ფორმატის და შინაარსის ტრენინგი, სემინარი და სამუშაო შეხვედრა სოციალური საწარმოებისთვის, სათემო ჯგუფების/ორგანიზაციებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. ამ ღონისძიებებმა სულ 1,235 მონაწილემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 1033 ქალი და 202 მამაკაცი.

## საინფორმაციო-საგანმანათლებლო ანიმაციები:

- რატომ არის ეს კანონი რუსული?
- ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
- კონკურენციის სამართალი
- საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვა
- ავტოტრანსპორტის რეგულირება
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
- სურსათის ევროპული კანონმდებლობა
- ცხოველური წარმოშობის სურსათის რეგულირება

- ჯანსაღი კვება და სასურსათო პროდუქტების უარყოფითი თვისებები
- სურსათის შენახვა და მისი გავლენა ხარისხსა და უვნებლობაზე
- სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელი ხაზი
- ევროინტეგრაცია და სურსათის უვნებლობა
- მომხმარებლი უფლებები - ინფორმაცია სურსათის შესახებ
- მომხმარებლის უფლებები - სურსათის უვნებლობა

## ღონისძიებები

- ონლაინ ქრაუდფანდინგის კამპანია;
- თაფლის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის შესახებ მონიტორინგის ანგარიშის განხილვა;
- პურისა და ზეთის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის შესახებ მონიტორინგის ანგარიშის განხილვა.

## კვლევა/ანგარიში

მომზადდა კვლევა სათემო ფონდების ეკოსისტემისა და საერთაშორისო გამოცდილების შესახებ, რომელიც მოიცავს მათი კონცეფციის, ევოლუციის, მართვისა და დაფინანსების მოდელების ანალიზს და აერთიანებს როგორც ადგილობრივი, ისე ევროპული პრაქტიკის შედარებით მიმოხილვას.

მომზადდა და განხილულ იქნა თაფლის, პურისა და ზეთის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის შესახებ მონიტორინგის ანგარიშები.

## მიმდინარე და განხორციელებული პროექტები

1. სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური პასუხისმგებლობა და კარგი მმართველობა - (ორგანიზაცია პური მსოფლიოსთვის)
2. მომსახურებები უფროსი თაობის ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში (II ფაზა) (ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა)
3. ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის (გაეროს განვითარების პროგრამა)
4. თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (ევროკავშირი)

5. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის (ევროკავშირი, კონრად ადენაუერის ფონდი)
6. გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება (ევროკავშირი)
7. სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება აზერბაიჯანში (პროგრამა თანა-დაფინანსებულია ევროკავშირისა (EU) და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (BMZ) მიერ, რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ))

## პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან

| **მიზანი** | **CSRDG-ის პროგრამა** | **გვერდი** |
|---|---|---|
| მიზანი 1 – სიღარიბის აღმოფხვრა | თემის განვითარება; სოციალური მეწარმეობა; | **14,27;** |
| მიზანი 2 – ნულოვანი შიმშილი | | |
| მიზანი 3 – ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა | სოციალური მომსახურების განვითარება; | **25;** |
| მიზანი 4 – ხარისხიანი განათლება | თემის განვითარება; სოციალური მეწარმეობა; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; | **14, 27,31;** |
| მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა | თემის განვითარება; ევროინტეგრაცია; | **14,38;** |
| მიზანი 6 – სუფთა წყალი და სანიტარია | | |
| მიზანი 7 – ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია | | |
| მიზანი 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა | თემის განვითარება; სოციალური მეწარმეობა; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; | **14,27,31;** |
| მიზანი 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა | | |

| | | |
|---|---|---|
| მიზანი 10 – შემცირებული უთანასწორობა | | |
| მიზანი 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები | თემის განვითარება; | **14;** |
| მიზანი 12 – მდგრადი მოხმარება და წარმოება | თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; | **14,31;** |
| მიზანი 13 – კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები | | |
| მიზანი 14 – ოკეანისა და ზღვის რესურსები | | |
| მიზანი 15 – დედამიწის ეკოსისტემები | | |
| მიზანი 16 – მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები | | |
| მიზანი 17 – პარტნიორობა მიზნების მისაღწევად | | |

## მიმართულებები

2025 წელს ორგანიზაციაში საქმიანობა ორი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით მიმდინარეობდა, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას და ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება პროგრამები, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

- სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ხელშეწყობა
- კარგი მმართველობის ხელშეწყობა

**სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ხელშეწყობის მიმართულების** სტრატეგიულ ამოცანას ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა წარმოადგენს. ორგანიზაციაში ამ მიმართულებაში ოთხი პროგრამა ერთიანდება: თემის განვითარება, სოციალური სერვისების განვითარება, სოციალური მეწარმეობის განვითარება, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა.

**<u>თემის განვითარება</u>** (სოფლის და თემის დონე) - თემში ინსტიტუციური, ადვოკატირებისა და რესურსების მობილიზების უნარების გაძლიერება,

რათა თემის წევრებმა ადგილობრივ განვითარებაში შეძლონ აქტიური და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

**<u>სოციალური მომსახურების განვითარება</u>** - საქართველოში უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება, სადაც დაცული და მხარდაჭერილი იქნება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები.

**<u>სოციალური მეწარმეობა (SE)</u>** – სოციალური მეწარმეობის, როგორც ახალი მიდგომის განვითარება საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიისთვის, საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოსაგვარებლად. სოციალური მეწარმეობით შესაძლებელია სოციალური პრობლემების დაძლევა, რომლებიც არ არის ბიზნეს კომპანიების ინტერესების ყურადღების ცენტრში და რომელთა გადაწყვეტისთვის მთავრობაში არ არის საკმარისი რესურსი.

**<u>კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)</u>** - CSR კონცეფცია და პრაქტიკა ხელს უწყობს სოციალურ და გარემოსდაცვით კეთილდღეობას ყველა სექტორში. ბიზნეს კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია გაიაზრონ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და აქტიური როლი შეასრულონ ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

## თემის განვითარების პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, **თემის განვითარების მიმართულებით, 1998 წლიდან მუშაობს.**

**მიმართულების მიზანი**, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და სათემო ლიდერების, სამოქალაქო ორგანიზაციების თუ საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერაა, რათა ამ ჯგუფებმა შეძლონ საკუთარი თემის ინტერესების უკეთ წარმოჩენა და არსებულ საჭიროებებზე რეაგირება.

ამისათვის, **პროგრამა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მუშაობს:**

- სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება
- სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა
- ქვეყანაში არსებული სათემო ორგანიზაციატა ქსელების გაძლიერება
- ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

**პროგრამა თავისი საქმიანობით მთელ ქვეყანას ფარავს, თუმცა უფრო ინტენსიურად კახეთის, სამეგრელოს-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონებში მუშაობს.**

## სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება/კავშირების ხელშეწყობა და მათ შორის გამოცდილების გაზიარება

ამ მიმართულებით მუშაობა მოიცავს თემის განვითარების რესურს ცენტრის (**CDRC.GE**) გარკვეულ საქმიანობებს, როგორიცაა  სათემო ჯგუფების და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის ე.წ. რუქის პერიოდული განახლება, სათემო ორგანიზაციებისათვის საჭირო ინფორმაციების/სიახლეების მიწოდება, თემატური კვლევების ჩატარება და სათემო ორგანიზაციების ერთობლივი შეხვედრების - სათემო ლიდერთა ყოველწლიური ფორუმის ორგანიზება.

## სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის განახლება

ქვეყნის მასშტაბით აქტიური სათემო ორგანიზაციების რუკის მონაცემების განახლება რეგულარულად მიმდინარეობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების სიზუსტე და აქტუალობა. მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების ფონზე, ბოლო განახლება 2025 წლის ივლისში განხორციელდა. ინფორმაციის გადამოწმება სატელეფონო გამოკითხვის გზით მოხდა და შედეგები თემის განვითარების პორტალზე (cdrc.ge) განთავსებულ რუქაზე აისახა.  წინა განახლებისას (2024 წელი), მონაცემთა ბაზაში 114 მოქმედი სათემო ორგანიზაცია თუ ჯგუფი ფიქსირდებოდა, ხოლოდ სატელეფონო გამოკითხვამ აჩვენა, რომ არსებული რთული ვითარების გამო, მათგან 78 ორგანიზაციამ/ჯგუფმა (სათემო ორგანიზაციების 68 %-მა), სამწუხაროდ შეაჩერა საქმიანობა. მხოლოდ 36 სათემო ჯგუფი (დაახლოებით 32 %) აგრძელებს მუშაობას, თუმცა მათი სამომავლო ფუნქციონირებაც კითხვის ნიშნის ქვეშა რჩება. მათი უმრავლესობა მიმდინარე პროექტების ბოლო ეტაპს ასრულებს, რის შემდეგაც ისინიც დიდი ვარაუდოთ შეაჩერებენ საქმიანობას.

## სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა

გაეროს განვითარების პროგრამით მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, რომელიც კახეთის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს ფარავდა, მოხდა სოფლად/მცირე დასახლებებში მაცხოვრებელი მეწარმე ქალების ფინანსური დახმარება. პროექტი მიზნად ისახავდა ადგილებზე ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და მასში როგორც ბიზნეს მენტორები აქტიურად იყვნენ ჩართულები ორგანიზაციის პარტნიორი, გამოცდლი სათემო/სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მენტორები შერჩეულ იყვნენ 5 ორგანიზაციიდან და მათ მხარდაჭერა გაუწიეს 7 მცირე მეწარმე ქალს. მათი მიზანი გახლდათ,  სოფლად მცხოვრები ქალების სამეწარმეო და ლიდერული შესაძლებლობების განვითარება და შესაბამისად, ადგილობრივი ეკონომიკურ განვითარებაში ქალთა როლის გაზრდის ხელშეწყობა.

ადგილობზე, მცირე მეწარმე ქალების შერჩევა კონკურსის საფუძველზე მოხდა და შედეგად 7 ქალბატონს გრანტის სახით გადაეცა, საკუთარი ბიზნესების განვითარებისთვის საჭირო ინვენტარი და ტექნიკა. მხარდაჭერა გაეწია შემდეგი ტიპის საოჯახო ბიზნესებს:

**ყვარლის მუნიციპალიტეტი**

**სოფელი ზინობიანი**

**პროექტი „ნინოს ტორტები“**

**პროექტის ღირებულება - 3122 ლ**

„ნინოს ტორტები“ არის მცირე საოჯახო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ხელნაკეთი, გემრიელი და ხარისხიანი საკონდიტრო ნაწარმის შექმნას ადგილობრივი მომხმარებლისთვის. პროექტის ფარგლებში მოეწყო საკონდიტრო სივრცე, რაც ქმნის საფუძველს სტაბილური და მზარდი ბიზნესისთვის. პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ვიტრინა-მაცივარი ვერტიკალური მბრუნავი ღერძით, რომელიც უზრუნველყოფს ტორტებისა და სხვა საკონდიტრო ნაწარმის იდეალურ შენახვასა და ეფექტურ წარმოდგენას. ნინოს ტორტებმა“ ხელი შეუწყო:

- ქალის ეკონომიკურ გაძლიერებას და თვითდასაქმებას;
- მომხმარებლისთვის ხარისხიანი და მრავალფეროვანი პროდუქციის შეთავაზებას.

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი**

**სოფელი ჰერეთისკარი**

**პროექტი „ბავშვის განმავითარებელი, სათამაშო ხალიჩების წარმოება.“**

**პროექტის ღირებულება - 4049.35 ლ**

პროექტი მიზნად ისახავს ბავშვებისთვის უსაფრთხო, მრავალფეროვანი და განვითარებაზე ორიენტირებული სათამაშო ხალიჩების წარმოებას. ინიციატივა დაფუძნებულია ხარისხზე, კომფორტსა და ბავშვის კოგნიტური და მოტორული უნარების განვითარების მხარდაჭერაზე. სამკერვალო საწარმოს გაფართოება და წარმოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ასევე მომავალში საერთაშორისო ბაზარზე გასვლის პოტენციალს. პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა საკერავი მანქანა, ლეპტოპი და პრინტერი, ასევე უზრუნველყოფილ იქნა სამუშაო სივრცის გაუმჯობესება გაზის გამათბობლითა და ფარდა-ჟალუზებით, რაც ქმნის კომფორტულ და ეფექტურ სამუშაო გარემოს და მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების შესაძლებლობებს. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო:

- ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ხარისხიანი საბავშვო პროდუქციის შექმნას;
- ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობის შექმნას

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი**

**სოფელი ჯუმათი**

**პროექტი „თხილის ფერმერული მეურნეობის მხარდაჭერა“**

**პროექტის ღირებულება: 3271.19 ლარი**

პროექტი ემსახურება ჯუმათის თემში მცხოვრები ფერმერების მხარდაჭერას და მიზნად ისახავს თხილის წარმოების პროცესის გაუმჯობესებას თანამედროვე სერვისების დანერგვით.

პროექტის მიზანია დაახლოებით 400-მდე კომლისთვის თხილის ფერმერული მეურნეობისათვის საჭირო სერვისის მიწოდება, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს პროდუქციის დამუშავების პროცესს და ამავდროულად ხელს შეუწყობს ბენეფიციარის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროექტი ითვალისწინებს:

ადგილობრივი თემისთვის თხილის სარჩევი აპარატით მომსახურების შეთავაზებასა და

მცირე, ოჯახური ბიზნესის განვითარებას, ოჯახის წევრების დასაქმების ხელშეწყობას.

პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა თხილის სარჩევი აპარატი, რაც უზრუნველყოფს ფერმერებისთვის სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას, ამცირებს შრომით რესურსს და ზრდის თხილის გადამუშავების ეფექტურობას როგორც ბენეფიციარისთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო:

- ადგილობრივი ფერმერების მხარდაჭერას და მათი შრომის გამარტივებას;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდას;

**მესტიის მუნიციპალიტეტი**

**სოფელი მულახი**

**პროექტი „საცხობი“**

**პროექტის ღირებულება: 4103 ლარი**

პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი საცხობის შექმნას, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ტურისტების მოთხოვნას ხარისხიან და ახალგამომცხვარ პროდუქტზე. ინიციატივა ხელს

უწყობს სვანეთის ტურისტული პოტენციალის კიდევ უფრო გაძლიერებას. პროექტი მოიცავს: საცხობის მოწყობას თანამედროვე ინვენტარით და კვების ობიექტის შექმნას, რომელიც მოემსახურება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ვიზიტორებს. პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ელექტრო ღუმელი, მიკროტალღური ღუმელი, პლანეტარული მიქსერი, ესპრესოს ავტომატური ყავის აპარატი და ორკამერიანი მაცივარი, რაც უზრუნველყოფს წარმოების სრულფასოვან პროცესს და ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზებას მომხმარებლისთვის. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო:

- ტურისტული სერვისების გაუმჯობესებას რეგიონში;
- დასაქმების შესაძლებლობების შექმნას;

**მესტიის მუნიციპალიტეტი**

**სოფელი ლახამურა**

**პროექტი „სათიბელას შეძენა“**

**პროექტის ღირებულება: 3116 ლარი**

პროექტი მიზნად ისახავს მესაქონლეობის განვითარებას და ტრადიციული, ნატურალური რძის პროდუქტების წარმოების გაზრდას. ინიციატივა ეფუძნება ადგილობრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და საოჯახო მეურნეობის გაძლიერებას. პროექტი მოიცავს: ოჯახური ფერმის სათანადო ინვენტარით აღჭურვას, რაც უზრუნველყოფს საქონლისთვის ნოყიერი საკვების მოპოვებას და მიწის რესურსის სრულად გამოყენებას; ოჯახური წარმოების ზრდას, არტიზანული ყველის ბრენდირებასა და პოპულარიზაციას, ასევე ახალი ბაზრების ათვისებას. პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა საცელი ტრაქტორი და სეგმენტური საცელის საჭრელი პირი, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს სათიბი სამუშაოების პროცესს, ზრდის საკვების მოპოვების ეფექტურობას და ამცირებს მეურნეობის ხარჯებს.

პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო:

- მესაქონლეობის განვითარებას და წარმოების ზრდას;
- ტრადიციული, ნატურალური პროდუქტების შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას;

**ხობის მუნიციპალიტეტი**

**ხობი**

**პროექტი „საოჯახო სამკერვალო „ელეგანსი“**

**პროექტის ღირებულება: 3770 ლარი**

პროექტი ემსახურება საოჯახო სამკერვალო სახელოსნოს განვითარებას, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ხარისხიან და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას. პროექტი მოიცავს: ახალი სამკერვალო ტექნიკის შეძენასა და დანერგვას;

დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, მათ შორის დამხმარე მკერავისა და სტაჟიორის დასაქმებას. პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა საკერავი მანქანები, თერძის მანეკენი და უთო, რაც მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების შესაძლებლობებს, აუმჯობესებს სამუშაო პროცესის ეფექტურობას და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო:

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ადგილობრივ ბაზარზე ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდას.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი**

**ლანჩხუთი**

**პროექტი „ციფრული კატალოგი“**

**პროექტის ღირებულება: 4095.36 ლარი**

პროექტი მიზნად ისახავს არსებული სამკერვალოს ბრენდის ციფრულ ტრანსფორმაციას და მომხმარებელთან კომუნიკაციის გამარტივებას. ინიციატივა ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის ეფექტურ წარმოჩენას და მომხმარებლისთვის მარტივ წვდომას. პროექტი მოიცავს: ტანსაცმლის საჩვენებელი კოლექციის შექმნას; პროფესიონალური ფოტოსესიის ორგანიზებას ონლაინ კატალოგისთვის;

ციფრული კატალოგის შექმნას და QR კოდის გენერაციას, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი მარტივად გადავა კატალოგში და სოციალურ პლატფორმებზე;

პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ლეპტოპი, ფოტოაპარატი, განათება და ფონის მატერია, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი ვიზუალური მასალის შექმნას, პროდუქციის პროფესიონალურ წარმოჩენას და ციფრული პლატფორმების ეფექტურ გამოყენებას.

პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო:

- ბრენდის ცნობადობის ზრდას და ბაზარზე პოზიციონირებას;

- მომხმარებელთან კომუნიკაციის გამარტივებას და გაყიდვების პროცესის გაუმჯობესებას;
- ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობის შექმნას.

ფინანსურ მხარდაჭერას თან დაერთო შერჩეული მეწარმეების შესაძლებლობების განვითარებისაკენ მიმართული საგანმანათლებლო ღონისძიებები. პირველ ეტაპზე, ქალ მენტორებს შორის შორის ცოდნის და გამოცდილების გაზიარების, ასევე პროექტის შემდგომი ნაბიჯების დაგეგმის მიზნით ჩატარდა კერძოდ ორი ერთობლივი შეხვედრა და 6 ონლაინ შეხვედრა. შეხვედრის თემები გახლდათ: მენტორების როლის და პასუხისმგებლობების შეჯერება; მეწარმეებისათვის გამცოხადებული კონკურის პირობების, განაცხადის ფორმების, ვადების და კონსურზე ინფორმაციის გავრცელების გზების განსაზღვრა; კონკურსის შედეგების განხილვა; ტექნიკის და ინვენტარის შეძენის პროცედურების შეთანხმება - ამ შეხვედრების მთავარი ამოცანა გახლდათ პროექტის ერთიანი მიდგომების და ჩარჩოს შეთანხმება, ასევე პროექტის მონაწილებს შორის ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა.

საგანმანათლებლო საქმიანობის მეორე ფაზა, უკვე უშუალოდ ქალი მეწარმეების ქსელის გაძლიერებას დაეთმო. საწყის ეტაპზე მოხდა შერჩეული მეწარმეების საჭიროებებების დაზუსტება, კერძოდ მენტორების მიერ წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით, ბიზნეს ქალების ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა. შეჯამებული შედეგების განხილვა მოხდა პროექტის გუნდის შეხვედრაზე, რომელსაც ორგანიზაციის პრობონო მიმართულების ექსპერტიც ესწრებოდა. სწორედ ამ შეხვედრაზე შემუშავდა ტრენინგების, კონსულტაციების და გამოცდილების გაზიარების შეხვედრების კონკრეტული თემატიკა, ვადები და შესაძლო სპიკერებიც.

ამ გეგმის შესაბამისად მეწარმე და მენტორი ქალების მონაწილეობით ჩატარდა ჯამში 5 ონლაინ ტრენინგი/შეხვედრა შემდეგ თემებზე: 1. როგორ განვავავითაროთ საკუთარი ბიზნესი (21 მონაწილე) 2. სოციალური მედია მარკეტინგი (12 მონაწილე) 3. ფინანსური წიგნიერება (15 მონაწილე) 4. სოციალური მეწარმეობა (10 მონაწილე) და 5. სამუშაო შეხვედრა საკვების უსაფრთოხებაზე (7 მონაწილე).

გარდა ამისა, დაინტერესებულა მეწარმეებმა და მენტორმა ქალებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ერთობლივ პრობონო ტრენინგებში: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, ექსელის ფუნქციები და ფორმულები, ფინანსების საფუძვლები: მოგება, ზარალი და გადასახადები. ამ ტრენინგებს უძღვებოდნენ ბანკი კრედოს პროფესიონალი თანამშრომლები.

მეწარმე ქალებს ასევე ჩაუტარდათ ინდივიდუალური, მათ საჭიროებებზე მორგებული კონსულტაციები, როგორც ქალი მენტორების ისე, ორგანიზაციის წარმომადგენლების და პრო ბონო ექსპერტების მიერ. მსგავსი სიღრმისეული კონსულტაცია გაწერია 4 მეწარმეს, რამაც ონლაინ და პირისპირ შეხვედრების გარკვეული ოდენობა მოიცვა. კერძოდ, კონსულტაციების გზით დახმარება გაეწიათ შემდეგ მეწარმეებს:

## სამკერვალო - ხობი, სამეგრელო

ხობში მოქმედი სამკერვალო საწარმოს მფლობელს ჩაუტარდა საკონსულტაციო შეხვედრა ონლაინ მარკეტინგის მიმართულებით.
შეხვედრის ფარგლებში გაანალიზდა კომპანიის სოციალური მედიის არსებული არხები, მათზე განთავსებული შინაარსის სიხშირე და ხარისხი.
კონსულტაციის შედეგად გამოვლინდა საჭიროება როგორც ტექნიკურ, ასევე შინაარსობრივ კომპონენტებში:

- ტექნიკური მიმართულებით: კომპანიის გვერდის ოფიციალურ ბიზნეს გვერდად გადაკეთება და ბიზნეს მენეჯერის შექმნა;
- შინაარსობრივი მიმართულებით: კონტენტის დაგეგმვა და ფორმირება, კონკრეტული კოლექციების გამოკვეთა და მათი რეკლამირეა სეზონურობის გათვალისწინებით.

აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელებამ ხელი შეუწყო სამკერვალო საწარმოს ონლაინ ხილვადობის ზრდასა და გაყიდვების გაუმჯობესებას.

## შპს GNT (ბავშვის განვითარების სათამაშოები) - ჰერეთისკარი, კახეთი

კომპანია GNT-ის დამფუძნებელთან და დირექტორთან, თათია გელაძესთან კომუნიკაციის პროცესში გამოვლინდა საჭიროება მენეჯმენტის მიმართულებით დამატებითი კონსულტაციების გატარების შესახებ — კერძოდ: ფინანსური ადმინისტრირება, ბუღალტერია და მარაგების მართვა.

კომპანია ACG ქონსალთინგის ხელმძღვანელმა ჩაატარა საკონსულტაციო შეხვედრა GNT-ის წარმომადგენელთან. კონსულტაციის შედეგად იდენტიფიცირდა ძირითადი გამოწვევები ბუღალტრული აღრიცხვის, მარაგების მართვისა და შემოსავლების სამსახურთან წარსადგენი დოკუმენტაციის მოწესრიგების მიმართულებით.

შეხვედრის შემდეგ კომპანიამ გამოყო სპეციალური თანამშრომელი, რომელიც დაეხმარა მეწარმეს მიმდინარე ვალდებულებების მართვაში. პარალელურად განხორციელდა აღნიშნული თანამშრომლის ტრენინგი ფინანსური აღრიცხვისა და ადმინისტრირების საკითხებში.
კონსულტაციები და ტრენინგების შედეგად, აღნიშნულ პროცესები საწარმოს შიდა სისტემაში სრულად დაინერგა.

## „ნინოს ტორტები“ – ზინობიანი, კახეთი

კომპანიის მფლობელთან გამართული კონსულტაციის შედეგად გამოვლინდა საჭიროება სოციალური მედიის მართის გაუმჯობესების მიმართულებით. მცირე საწარმოს არ გააჩნდა ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელებში, რაც ზღუდავდა მომხმარებლებთან კომუნიკაციასა და პროდუქტის ცნობადობას.
კონსულტაციის ფარგლებში შეიქმნა კომპანიის ოფიციალური გვერდები Facebook-სა და Instagram პლატფორმებზე, რაც საფუძველს უქმნის სამომავლო ონლაინ მარკეტინგული აქტივობების განვითარებასა და გაყიდვების ზრდას.

## ყველის წარმოება - ლახამურა, ზემო სვანეთი

კომპანიის მფლობელთან ჩატარებული კონსულტაციის შედეგად იდენტიფიცირდა საჭიროება ბრენდინგისა და სოციალური მედიის მიმართულებით. მცირე საწარმოს არ გააჩნდა ლოგო, ვიზუალური იდენტობა, ეტიკეტი და ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელებში.
საკონსულტაციო ჯგუფის დახმარებით შეიქმნა პროდუქტის სახელი, ლოგო, ბრენდბუქი და შეფუთვის დიზაინი. პარალელურად, დამზადდა კომპანიის ოფიციალური გვერდები Facebook-სა და Instagram პლატფორმებზე, რაც გააძლიერებს ბრენდის იდენტობას და ხელს შეუწყობს პროდუქტის პოზიციონირებას ბაზარზე.

მეწარმე ქალებისთვის ასევე ჩატარდა ონლაინ შეხვედრები, სხვა გამოცდილ ბიზნეს ქალებთან გამოცდილების გაზიარების და ერთმანეთთან კავშირების დამყარება/გაძლიერების მიზნით. ამ შეხვედრების ამოცანა იყო წარმატების/წარუმატებლობის მიზეზების და ნასწავლი გაკვეთილების ერთმანეთისათვის გაზიარება. მაგალითად, ორი შეხვედრა შედგა გამოცდილ, რძის პროდუქტების მწარმოებელ ქალთან და საოჯახო სასტუმროს მფლობელ, ამავდროულად სოციალური მედია მარკეტინგის სპეციალისტთან. ორი შეხვედრა კი, დაეთმო ქალი მენტორების და მეწარმეების შეკრებას და მათ შორის გამოდილების გაზიარებას, ასევე შემდგომი საჭიროებების გამოკვეთას.

## ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

ამ მიმართულებით ორგანიზაციამ საქმიანობა 2020 წლიდან დაიწყო და პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმასთან ერთად საკმაო გამოცდილების დაგროვებაც შეძლო. საქმიანობა ძირითადად მოიცავს საზოგადოებაში კონცეფციიის პოპულარიზაციას, მის მაგალითებზე და ფორმებზე მეტი ინფორმაციის და განათლების შეტანას, და ისეთი მოდელების დანერგვას და ხელშეწყობას, როგორიცაა **სათემო ფონდები** (Community Foundations) და **ქრაუდფანდინგი** ანუ სახალხო დაფინანსება.

## სახალხო დაფინანსების კამპანია

2025 წელს საქართველოში სახალხო დაფინანსების მოზიდვისთვის შექმნილი გარემო მნიშვნელოვნად განსაზღვრა რთულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. საზოგადოებრივი შემოწირულობების დიდი ნაწილი მიემართა იმ პირების მხარდასაჭერად, რომლებიც ახლად მიღებული რეპრესიული კანონმდებლობის საფუძველზე დაჯარიმდნენ 5000 ლარით — ხშირ შემთხვევაში მშვიდობიანი პროტესტის დროს გზების გადაკეტვისთვის. სოლიდარობის ნიშნად, მოქალაქეებმა პრიორიტეტი, სწორედ ამ ჯარიმების დაფარვისთვის ქრაუდფანდინგის გამოყენებას მიანიჭეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედებები ძლიერი სამოქალაქო მობილიზაციის მაჩვენებელი იყო, ამან მნიშვნელოვნად შეამცირა საზოგადოების ჩართულობა სხვა ფანდრაიზინგ კამპანიებში, განსაკუთრებით კი იმ ინიციატივებში, რომლებიც გრძელვადიან ან სერვისზე ორიენტირებულ მიზნებს ემსახურებოდა.

ამ კონტექსტში, თავდაპირველად დაგეგმილი, ჩვენს მიერ წინა წლებში პილოტირებული „იდეების აუქციონი“ ტრადიციულ ფორმატში ვერ ჩატარდა. თუმცა მისი ჩანაცვლება მოხდა ონლაინ სახალხო დაფინანსების კამპანიით.

სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების წინაშე მდგომი გადაუდებელი გამოწვევების გათვალისწინებით, CSRDG-მ მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, გამოეყენებინა საკუთარი დონორებისა და მხარდამჭერების არსებული ქსელი ონლაინ ქრაუდფანდინგ ინიციატივის განსახორციელებლად. საწყის ეტაპზე, სოციალურ მედიასა და სხვა არხების მეშვეობით გავრცელდა ღია მოწვევა/კონკურსი, სოციალური სერვისის მიმწოდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. საბოლოოდ, მხარდასაჭერად შეირჩა ორგანიზაცია ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი. ორგანიზაცია საჭიროებდა რესურსებს შშმ პირთა პერსონალური ასისტენტების გადამზადებისთვის, რაც მას საშუალებას მისცემდა გაეფართოებინა მომსახურება დამატებით 30 ადამიანზე.

ორთვიანი ქრაუდფანდინგ კამპანიის ფარგლებში მომზადდა მოკლე ვიდეო, რომელიც წარმოადგენდა შერჩეულ ორგანიზაციას და იმ გამოწვევებს, რომელთა გადაწყვეტასაც ის ისახავდა მიზნად; ვიდეო ფართოდ გავრცელდა CSRDG-ის ქსელებში, დონორთა ბაზაში და სოციალურ მედიაში. კამპანიამ მიაღწია 1,200-ზე მეტ ადამიანს, ჩართო 80-ზე მეტი დონორი რითაც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის უზრუნველყო პირდაპირი მხარდაჭერა. კამპანიამ ონლაინ 1,200 ლარის მოგროვება შესძლო, ხოლო დამატებით 1,300 ლარი გამოყო CSRDG-მ თანადაფინანსების (matching) პრინციპის საფუძველზე. საბოლოოდ ჯამურმა თანხამ კი 2,500 ლარი შეადგინა. ამ თანხით აჭარაში მოქმედმა ორგანიზაციამ, თავისი სერვისები დამატებით კიდევ 30 ადამიანზე, მათ შორის ხანდაზმულებზეც განავრცო.

## საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა

### ტრენინგი თემაზე: რესურსების მობილიზაციის ალტერნატიული მეთოდები

CSRDG-ის ექსპერტების გუნდმა, დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის შეიმუშავა თემატური ტრენინგი რესურსების მობილიზებისა და ქრაუდფანდინგის შესახებ, რომელიც მაქსიმალურად მოარგო საქართველოში მოქმედი ადგილობრივი ჯგუფებისა და ორგანიზაციების ინტერესებსა და საჭიროებებს. შემდგომში პროექტის - „REACT for Georgia: მდგრადი, ჩართული, აქტიური სამოქალაქო საზოგადოება ტრანსფორმაციისთვის“ (Konrad Adenauer Stiftung-ის ფინანსური მხარდაჭერა) ფარგლებში შესაძლებელია გახდა აღნიშნული ტრენინგის: „რესურსების მობილიზაციის ალტერნატიული მეთოდები: ბიზნესთან თანამშრომლობა და ქრაუდფანდინგი“, ორ ციკლად ჩატარება. 3-დღიანი ტრენინგები ცოცხალ ფორმატში ჩატარდა ქუთაისსა და სურამში, სადაც მას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელი, ჯამში 35 ადამიანი დაესწრო.

ტრენინგების მიზანი იყო საქართველოს მასშტაბით მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად ალტერნატიული რესურსების მობილიზაციის წყაროებსა და მექანიზმებზე დისკუსიის წარმართვა და კრიზისის პირობებში საქმიანობის შენარჩუნების შესაძლებლობების განხილვა. მონაწილეებმა დეტალურად იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა CSO-ების მდგრადობა და ფინანსური უსაფრთხოება, შემოსავლის დივერსიფიკაციის მნიშვნელობა და ბიზნეს სექტორიდან და ინდივიდუალური დონორებისგან რესურსების მობილიზების პოტენციალი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქრაუდფანდინგს, როგორც ადგილობრივი რესურსების მობილიზების საშუალებას - განხილულ იქნა სხვადასხვა სტრატეგია, მათ შორის სახალხო დაფინანსები

როგორც ონლაინ კამპანიები, ისე ცოცხალი ქრაუდფანდინგის მეთოდები. განსაკუთრებული ფოკუსი გაკეთდა კონკრეტულ მეთოდზე - „იდეების აუქციონზე“, რაც მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაძლიერებას ცოცხალი ქრაუდფანდინგის მიმართულებით.

**კვლევა**

კვლევა სათემო ფონდების ეკოსისტემისა და საერთაშორისო გამოცდილების შესახებ  ჩატარდა მოწვეული ექსპერტის მიერ. იგი მიმოიხილავს სათემო ფონდების კონცეფციას, ევოლუციასა და მისი, როგორც ადგილზე დაფუძნებული ფილანთროპიული ინსტიტუციის მნიშვნელობას. კვლევის შინაარსი და ანალიტიკური ფოკუსი განისაზღვრა, საქართველოში არსებულ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების, ასევე საერთაშორისო ექსპერტთან თანამშრომლობის საფუძველზე.

მასში წარმოდგენილია სათემო ფონდების ძირითადი განსაზღვრებები, მახასიათებლები, მართვის მოდელები და დაფინანსების მექანიზმები, რომლებიც განასხვავებს სათემო ფონდებს სხვა ფილანთროპიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. ანგარიშში ასევე გაანალიზებულია სათემო ფონდების განვითარების ისტორია როგორც გლობალურად, ასევე ადგილობრივ დონეზე. მასში  წარმოდგენილია შერჩეული ევროპული ქვეყნების გამოცდილება და კონკრეტული მაგალითები გერმანიის, სლოვაკეთისა და რუმინიის სათემო ფონდებზე. შესაბამისად, კვლევა აჩვენებს, სათემო ფონდების განვითარების პროცესს, განსხვავებულ სოციალურ და პოლიტიკურ ეკოსისტემებში. კვლევის სრული ქართული ვერსია და მოკლე ინგლისურენოვანი რეზიუმე განთავსდება პროგრამის სპეციალურ პორტალზე: cdrc.ge

**მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში**

CSRDG აქტიურად აგრძელებს ჩართულობას European Community Foundation Initiative (ECFI)-ში და მონაწილეობას იღებს მის სასწავლო და გამიცდილების გაზიარების აქტივობებში.

- 2025 წლის მაისში, CSRDG-ის  წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო უნგრეთის ხუთდღიან საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში. სასწავლო პროგრამის მასპინძელი გახლდათ უნგრული ორგანიზაცია „ Roots and Wings Foundation“, ხოლო ვიზიტის მიზანი ევროპის მაშტაბით, სათემო ფონდებზე მომუშავე პროფესიონალებს შორის დიალოგისა და რეფლექსიის ხელშეწყობა გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ თავად უნგრეთიც მნიშვნელოვანი სამოქალაქო და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას, ვიზიტმა ქვეყანაში, ბოლო წლებში სათემო ფონდების შთამბეჭდავი განვითარება  წარმოაჩინა. მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა მოენახულებინათ რამდენიმე ადგილობრივი ფონდი, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტში ფუნქციონირებენ.

სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა — მათ შორის უკრაინიდან, იტალიიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან და სხვა ქვეყნებიდან— ერთმანეთში გაცვალეს ამ კუთხთ არსებული საკუთარი გამოცდილება, პერსპექტივები და გამოწვევები. ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ვიზიტის შედეგად მიღებული ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა CSRDG-ის გუნდსა და ადგილობრივი სათემო ლიდერებთა ჯგუფს (19 მონაწილე).

- 2025 წლის ოქტომბერში კი, European Community Foundation Initiative (ECFI)-ის ორგანიზაებით ნეაპოლში ჩატარდა ორდღიანი ინტერაქტიული ღონისძიება სახელწოდებით „It's All About You(th)", რომელმაც ევროპის სათემო ფონდების პრაქტიკოსები, ახალგაზრდული და ფილანთროპიული ორგანიზაციები შეკრიბა. შეხვედრის მთავარი თემა იყო, ახალგაზრდების გააქტიურება და გაძლიერება სათემო ფონდების მეშვეობით, ახალგზარდების ლიდერული უნარების გაძლიერებისა და გადაწყვეტილების მიღების, ასევე უფრო თანასწორი საზოგადოებების ჩამოყალიბების პროცესში უკეთ ჩართვის სხვადასხვა გზები და საშუალებები. ღონისძიებას დაახლოებით 80 ადამიანი დაესწრო.

პროგრამა მოიცავდა პანელურ დისკუსიებს, პრაქტიკულ ვორქშოფებსა და ადგილზე ვიზიტებს. სპეციალური სესია თემაზე „რეგიონებში, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობა" წარიმართა CSRDG-ის წარმომადგენლის მიერ (25 დამსწრე). მასზე წარმოჩინდა სოფლის ახალგაზრდებთან CSRDG-ის მუშაობა - ადგილობრივი სათემო ინიციატივების, ახალგაზრდული ლიდერთა ბანაკებისა და „იდეების აუქციონის" მაგალითზე. მონაწილეებმა იმსჯელეს სოფლის ახალგაზრდებთან მუშაობის სირთულეებზე, ადგილობრივი ორგანიზაციების როლზე და იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების აღქმა არა როგორც ბენეფიციარებად, არამედ როგორც თანასწორი პარტნიორებად.

CSRDG სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას, ცნობადობის ამაღლებასა და საზოგადოების ნდობის ზრდას. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სისტემატურად სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ მხარდაჭერას, რაც ეხმარება მათ მართვის სისტემების გაუმჯობესებაში, მიზნობრივი აუდიტორიისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში და ორგანიზაციული, მათ შორის ფინანსური, მდგრადობის უზრუნველყოფაში. 2025 წლის განმავლობაში სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ჯამურად ჩატარდა 67 სხვადასხვა სემინარი, ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა, რომელშიც ჯამში 1,235 მონაწილე ჩაერთო.

## სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა

*„ბენეფიციარები არ არიან უცხო, მოწყვლადი ადამიანები ან ჯგუფები, ბენეფიციარები ვართ თითოეული ჩვენგანი, რომლებიც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, სხვადასხვა გარემოების გამო ვხვდებით მოწყვლად მდგომარეობაში და გვჭირდება ღირსების და სხვა უფლებების დაცვით მხარდაჭერა."* - **ზურაბ ტატანაშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი**.

2025 წელს CSRDG აქტიურად იყო ჩართული სოციალური მომსახურებების განვითარებაში, როგორც უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარების აქტიური მხარდამჭერი. ორგანიზაციამ თემატური შეხვედრები გამართა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში, სადაც სამოქალაქო აქტორები და ადგილობრივი ჯგუფები განიხილავდნენ არსებული

სერვისების ხელმისაწვდომობის გამოწვევებს და საჭიროებებს. შეხვედრებისას სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის მიმართულებით სხვადასხვა ბარიერი გამოიკვეთა: ინფორმაციის ნაკლებობა, ენობრივი ბარიერები, ინფრასტრუქტურის შეუსაბამობა და სტიგმა. თითოეულ მუნიციპალიტეტში შეირჩა კონკრეტული პრიორიტეტი კერძოდ: ბოლნისში – ადრეული ინტერვენციის განვითარება; გარდაბანში – ინფორმაციის გავრცელება ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე; თეთრიწყაროში – სამედიცინო და რეაბილიტაციის პროგრამების ცნობადობის გაზრდა; მარნეულში – ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერა; ახალციხეში – რეაბილიტაციისა და აუტიზმის სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელება; ნინოწმინდაში – სტიგმის შემცირება და ოჯახების ჩართვა.

**ძირითადი საქმიანობები:**

- ჩატარდა თემატური შეხვედრები 6 მუნიციპალიტეტში, სადაც ადგილობრივმა ჯგუფებმა შეარჩიეს პრიორიტეტული თემები და შეიმუშავეს სამოქმედო გეგმები.
- ივლისში გაიმართა სემინარები, სადაც მონაწილეებმა შეიმუშავეს კომუნიკაციის სტრატეგიები მოსახლეობის ინფორმირების მიზნით. ახალციხეში ყურადღება გამახვილდა ბავშვთა სპეციალური საჭიროებების პროგრამებზე, გარდაბანში, თეთრიწყაროში და მარნეულში – კონკრეტული პროგრამების ცნობადობაზე, ხოლო ბოლნისში – მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის პროცედურებზე.
- CSRDG-ის გუნდმა განახორციელა შინმოვლის სახელმწიფო პროგრამის ანალიზი, შეადარა ცვლილებები 2024 წლის რეკომენდაციებს და მოამზადა პასუხისმგებლობების ცხრილი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარა.
- მაის-ივნისში ორგანიზაციამ ჩაატარა დისტანციური შეხვედრები, სადაც სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების 34მა წარმომადგენელმა განიხილა შინმოვლის პილოტირების კვლევის რეკომენდაციების შესრულების სტატუსი და სამომავლო ნაბიჯები.
- CSRDG-ის ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს WHO-ს, ADB-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამართულ შეხვედრებში, სადაც წარადგინეს რეკომენდაციები მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების შესახებ. ისაუბრეს უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების განვითარების საჭიროებებზე.

2025 წელს CSRDG-ის საქმიანობამ წვლილი შეიტანა სხვადასხვა ცვლილებაში, როგორც ეროვნულ ისე მუნიციპალურ დონეზე:

- შინმოვლის პროგრამის 2024 წელს ჩატარებული კვლევის და მიმწოდებელ ორგანიზაციებთან შეხვედრების საფუძველზე მომზადდა ანგარიშები, რომლებიც ეხმარება პროგრამის გაუმჯობესებას. წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა თვითონ პროგრამის განხორციელების და შეფასების

პროცესებიც: შემცირდა შინმოვლის პროგრამაში მომსახურების მიმღებთა ჩართვის ბარიერები; მონიტორინგის სისტემაში ინტეგრირდა ეფექტიანობისა და შედეგიანობის ინდიკატორები.

- ადგილობრივმა ჯგუფებმა შეიმუშავეს კომუნიკაციის გეგმები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდას სოციალური მომსახურების მიმართულებით.
- გაიზარდა ბოლნისში არსებული ორგანიზაციის მზაობა, ადრეული ინტერვენციის პროგრამის მიმწოდებლად რეგისტრაციისთვის.

**წარმატების ისტორია**

2025 წელს CSRDG-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატება იყო ადგილობრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება. მაგალითად, ბოლნისში თემატური შეხვედრების შედეგად შეიქმნა ადრეული ინტერვენციის პროგრამის განვითარების გეგმა. პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ბარიერები – კადრების დეფიციტი და ინფრასტრუქტურის შეუსაბამობა. CSRDG-ის ექსპერტებმა აქტიურად შეუწყვეს ხელი ადგილობრივ ჯგუფს პრაქტიკული ნაბიჯების დაგეგმვაში. მათ ჩაატარეს რეგისტრაციის პროცედურების ანალიზი, დაეხმარნენ აქტივობის გეგმისა და ბიუჯეტის შედგენაში, ორგანიზება გაუწიეს სასწავლო ვიზიტს თელავში მოქმედ ადრეული ინტერვენციის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან - „საზოგადოებრივ ინტერესთა დაცვის ასოციაცია“.

ეს ინიციატივა იქცა წარმატების ისტორიად, რადგან ადგილობრივმა ჯგუფმა შეძლო რეალური ნაბიჯების გადადგმა ახალი სოციალური მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციისთვის მზაობისკენ, ხოლო CSRDG-მ უზრუნველყო ცოდნისა და პრაქტიკის გადაცემა. შედეგად, შეიქმნა საფუძველი ადრეული ინტერვენციის პროგრამის განვითარებისთვის რეგიონში.

## სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა ცენტრის სტრატეგიული პრიორიტეტია 2009 წლიდან.

სოციალური მეწარმეების მხარდაჭერით ჩვენ შეგვაქვს წვლილი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევების მდგრადი, სამეწარმეო გზით მოგვარებაში;

ჩვენ ვმუშაობთ სამოქალაქო, კერძო და სახელისუფლებო სექტორებთან კონცეფციის განვითარებისთვის, რადგან გვჯერა რომ სოციალური მეწარმეობა არის ეფექტური ინსტრუმენტი სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, და საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ.

**პროგრამის მიზანია:**

მიზნის მისაღწევად ჩვენ ვმუშაობთ ორი სტრატეგიული მიმართულებით:

- საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;
- სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

**2025 წელს განხორციელებული საქმიანობები და მიღწეული შედეგები:**

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობისთვის საქმიანობები მოიცავს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მორგებულ მექანიზმებს მოქმედი და დამწყები სოციალური საწარმოებისთვის.

მხარდაჭერის პროგრამაში საწარმოთა შერჩევა კონკურსის წესით ხორციელდება. შერჩეულ საწარმოებთან პროგრამის გუნდი 2-5 წლის მანძილზე მუშაობს.

2025 წელს სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამამ გააგრძელა სოციალური საწარმოების გაძლიერება ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მორგებული მექანიზმებით. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერა გაეწია 19 სოციალურ საწარმოს, მათ შორის 10 სტარტაპს, 3 განვითარების და 6 გაფართოების ეტაპზე მყოფ საწარმოს (აქციოს ფარგლებში). 2025 წელს დაფინანსდა 2 მოქმედი სოციალური საწარმო. ჯამურად 2025 წლის მანძილზე სოციალურ საწარმოებზე გაცემული საგრანტო თანხამ შეადგინა 212 962 ლარი. სტარტაპებისთვის მხარდაჭერამ შეადგინა 35 145 ლარი, ხოლო განვითარების გრანტებმა 177 817 ლარი (მ.შ. 133 780 ლარი აქციოს პორთფელში მყოფი საწარმოებისთვის).

**სამიზნე სოციალური საწარმოების შერჩევა**

2025 წლის მარტის დასაწყისში გამოცხადდა სამიზნე სოციალური საწარმოების შერჩევის საგრანტო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ისეთი სოციალური საწარმოების გამოვლენას, რომლებიც უკვე ოპერირებენ ბაზარზე, აქვთ დამტკიცებული ბიზნეს-მოდელი, თუმცა კვლავ საჭიროებენ დამატებით რესურსებს სტაბილური განვითარებისათვის. კონკურსის ფარგლებში 14 მარტს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, სადაც დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია განაცხადის მოთხოვნებისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ. განაცხადების მიღება დასრულდა 7 აპრილს.

ჯამში წარმოდგენილი იქნა 19 განაცხადი, განაცხადების პირველ ეტაპზე განხორციელდა ტექნიკური გადარჩევა, რომლის შედეგად ორი განაცხადი დისკვალიფიცირდა ფორმალური მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო. დარჩენილი 17 განაცხადი გადაეცა დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისიას, რომელმაც შეაფასა თითოეული პროექტი სოციალური და ეკონომიკური გავლენის, ინოვაციურობისა და მდგრადობის კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების პროცესი დასრულდა 2025 წლის 2 მაისს.

კონკურსის შედეგად დაფინანსდა ორი სოციალური საწარმო - „გოგორა“ და „მეგობარი“ თითოეულს გაეწია მხარდაჭერა მაქსიმუმ 8,000 ევროს ოდენობით, და მინიმუმ 10%-იანი თანადაფინანსების ვალდებულებით. გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, საწარმოებს გაეწიათ ასევე გრძელვადიანი პროფესიული

დახმარება, რომელიც მოიცავდა ბიზნეს განვითარების, მარკეტინგისა და ოპერაციული მართვის მიმართულებებს, 2-დან 3 წლამდე პერიოდში.

**„მეგობარი“**

2017 წელს ზუგდიდში დაარსებული სოციალური საწარმო „მეგობარი“ ქმნის ახალგაზრდებისთვის ინკლუზიურ და მრავალფუნქციურ სივრცეს, რომელიც დღის განმავლობაში უფასო სამუშაო გარემოდ, ხოლო საღამოს სოციალურ ბარად ფუნქციონირებს. საწარმომ განავითარა მრავალმხრივი მოდელი, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდულ ჰოსტელს, მობილურ კულტურულ სივრცეს „მეგობუსს“, რეგიონში პირველ DJ სკოლას „ბჟამინოლს“ და პროფესიონალურ აუდიოჩამწერ სტუდიას „Megobari Records“. აღნიშნული საქმიანობა ხელს უწყობს ახალგაზრდების, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირების, სოციალურ და ეკონომიკურ ჩართულობას, შემოქმედებით თვითგამოხატვას და ახალგაზრდული პროგრამების ფინანსურ მდგრადობას.

**„გოგორა“**

2021 წელს დაარსებული სოციალური საწარმო „გოგორა“ აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და მონტესორის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ საბავშვო ავეჯსა და სათამაშოებს. საწარმო ოპერირებს თბილისში და ქედის მუნიციპალიტეტში და ქმნის დასაქმების შესაძლებლობებს იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, ახალგაზრდებისა და მრავალშვილიანი ოჯახების დედებისთვის. „გოგორა“ შემოსავლის 3%-ს რეინვესტირებს სოციალურ მიზნებში, მათ შორის მთიან რეგიონებში სათამაშო სივრცეების მოწყობაში, საბავშვო ბაღების უსაფრთხოების გაუმჯობესებასა და ბავშვთა განვითარების ცენტრების მხარდაჭერაში, რითაც აერთიანებს ბიზნეს ინოვაციას, ინკლუზიურ დასაქმებას და ბავშვთა განვითარების გარემოს გაუმჯობესებას.

**კონსულტაციები და მორგებული ტექნიკური დახმარება**

პროგრამის ფარგლებში სოციალურ საწარმოებს ვაწვდით მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ დახმარებას.

დაინტერესებულ სოციალურ მეწარმეებს შევთავაზეთ თემატური ტრენინგები ბიზნესის განვითარების მიმართულებით. კერძოდ, ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „ეფექტური გაყიდვების“ თემაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 სოციალური საწარმოს წარმომადგენელმა. ტრენინგი მოიცავდა თანამედროვე გაყიდვების ტექნიკებს, მოლაპარაკების უნარებსა და კლიენტებთან ურთიერთობის მართვას. პრაქტიკული სავარჯიშოებისა და გამოცდილების გაზიარების გზით მონაწილეებმა მიიღეს ცოდნა, რომელიც მათ დაეხმარება გაყიდვების ზრდასა და ბიზნესის განვითარებაში.

დაინტერესებულ მეწარმეებთან აგრეთვე ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრასაკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, სადაც სოციალური საწარმოები გაეცნენ ახალ რეგულაციებს და მიიღეს იურიდიული განმარტებები. აღნიშნულ შეხვედრებში ჯამში 50-მდე მონაწილე იყო ჩართული.

სოციალური საწარმოებისთვის გაცემული კონსულტაციები კი მრავალფეროვნ თემატიკას მოიცავდა და მორგეული იყო თითოეული საწარმოს საჭიროებაზე: ბიზნეს გეგმის დახვეწა, აღრიცხვიანობა და ფინანსების მართვა; ბრენდის

დანვითარება, ციფრული მარკეტინგი, რეკლამირების სტრატეგიის შემუშავება (Google Ads), კომუნიკაციების სტრატეგია, operaciuli sistemebis ganviTareba, უფლებებზე დაფუძნებული ოპერაციული პროცედურები და მონიტორინგისა და შეფასების (M&E) სისტემის შემუშავება, იურიდიული საკითხები და შრომით ურითიერთობები და სხვ.

### სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესებისთვის საქმიანობა ძირითადად კონცეფციისა და საწარმოების პოპულარიზაციას მოიცავდა. ახალი მასალებით გავამდიდრეთ სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო პორტალი.

## გავლენის ფონდი აქციო

გავლენის ფონდი „აქციო“ 2022 წელს დაფუძნდა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) მიერ და ფუნქციონირებს CSRDG-ის ქოლგის ქვეშ. „აქციო“ არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რაც მას საშუალებას აძლევს ეფექტიანად გამოიყენოს CSRDG-ის დაგროვებული რესურსები - მათ შორის ორგანიზაციის რეპუტაცია, პარტნიორული ქსელები, გამოცდილება და ადმინისტრაციული შესაძლებლობები.

„აქციო“ დაფუძნდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის“ ფინანსური და ტექნიკური ხელშეწყობის შედეგად. პროექტის წამყვანმა ორგანიზაციამ, Impact Europe-მა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღმოსავლეთ ევროპაში სოციალური გავლენის მქონე ინვესტირების ეკოსისტემის განვითარებაში.

პროექტის დასრულების მიუხედავად, „აქციო“ აგრძელებს თავის საქმიანობას და მიზნად ისახავს ხელშესახები და მდგრადი სოციალური გავლენის შექმნას სოციალურ საწარმოებთან, ინვესტორებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობით. ფონდის საქმიანობა ფოკუსირებულია ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმება და განათლება, გარემოს დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

### აქციოს ინვესტორები

სოციალური საწარმოების ფინანსური და ტექნიკური დახმარების შესაძლებლობას „აქციოს” ევროკავშირის დაფინანსება და ინვესტორების ფინანსური წვლილი აძლევს.

სოციალური საწარმოების დაფინანსებისთვის მობილიზებულია შემდეგი ფინანსურის რესურსი:

| ევროკავშირი | გავლენის ინვესტორები | გავლენის პარტნიორები | გავლენის მხარდამჭერები |
|---|---|---|---|
| 300,000 ევრო | 108,000 ევრო | 9000 ევრო | 1800 ევრო |

**ევროკავშირთან ერთად „აქციოს“ ინვესტორები არიან:**

| | | |
|---|---|---|
| გავლენის ინვესტორები | გავლენის პარტნიორები | გავლენის მხარდამჭერები |
| მიკრობანკი “ემბისი” | ვლადიმერ საყვარელიძე | ქეთევან ჭითანავა |
| ნიკოლოზ ალავიძე | | მაია წერეთელი |
| Magic Foundation | | |

ამჟამად გავლენის ფონდ „აქციოს“ პორტფელი 6 სოციალურ საწარმოს მოიცავს, ესენია: ბაბალე, ისტორიალი, ტენე, ჩემპი, დადარი და დედიკო. მათი შერჩევა ორ ეტაპად განხორციელდა. თითოეული მათგანის შერჩევასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება საინვესტიციო კომისიამ მიიღო.

მხარდაჭერილი საწარმოები მუშაობდნენ ინკლუზიური დასაქმების, მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერების, გარემოს დაცვის, კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. პროგრამის ფინანსურმა და პროფესიულმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო საწარმოების წარმოების გაფართოებას, ახალი პროდუქტებისა და გაყიდვების არხების განვითარებას, შემოსავლების ზრდას და სოციალური გავლენის გაძლიერებას. ცალკეული საწარმოების მიღწევები და შედეგები დეტალურად წარმოდგენილია დანართში - **მხარდაჭერილი სოციალური საწარმოების შედეგები და მიღწევები 2025 წელს.**

## კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა

2004 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პროგრამას. იგი საქართველოში ერთ-ერთი პიონერი ორგანიზაციაა, რომელიც აქტიურად უწევს პოპულარიზაციას CSR-ის კონცეფციას. წლების განმავლობაში, პროგრამა მუშაობდა კორპორაციული მდგრადობის შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და სხვადასხვა სექტორში ცნობიერების ამაღლებაზე მრავალფეროვანი აქტივობების მეშვეობით, მათ შორის: კვლევები, საინფორმაციო კამპანიები, ტრენინგები, სემინარები, დაინტერესებულ მხარეთა ფორუმები, კონფერენციები და ეროვნული ჯილდოები. CSRDG მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან, სხვადასხვა ზომის ბიზნესებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მედიასთან, რათა საქართველოში დანერგოს პასუხისმგებლიანი და მდგრადი ბიზნესპრაქტიკის კულტურა.

### პრო ბონო კონცეფციისა და პრაქტიკის პოპულარიზაცია საქართველოში

2015 წელს „საქართველოს პრო ბონო ქსელის“ დაფუძნების დღიდან, CSRDG ხელს უწყობს თანამშრომლობას იმ კომპანიებს შორის, რომლებსაც სურთ საკუთარი გამოცდილების გაზიარება, და იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს

შორის, რომლებიც საჭიროებენ პროფესიულ მხარდაჭერას. 2025 წლისთვის ქსელი 30 წევრს აერთიანებდა. CSRDG ასევე კოორდინაციას უწევს „პრო ბონო მედიაციის ინიციატივას“, რომელიც აკავშირებს კორპორაციულ მოხალისეებს ორგანიზაციებთან, მათი კონკრეტული საჭიროებებისა და მოხალისეთა ექსპერტიზის სფეროების გათვალისწინებით.

ამ ინიციატივის ფარგლებში, CSRDG ფასილიტაციას უწევს კავშირების დამყარებას კომპანიებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის და მხარს უჭერს პრო ბონო მომსახურების გაწევის სრულ პროცესს. სამოქალაქო ორგანიზაციებიდან მიღებულ მოთხოვნებზე რეაგირების გარდა, პროგრამა პროაქტიულად უკავშირდებოდა პოტენციურ ბენეფიციარებს მათი საჭიროებების გამოსავლენად. ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა სამოქალაქო ორგანიზაციებთან და სოციალურ საწარმოებთან საჭიროებების შესაფასებლად და დახმარების მასშტაბის განსასაზღვრად.

2025 წელს CSRDG-ის მედიაციით განხორციელდა 12 პარტნიორული პროექტი კომპანიებსა და ბენეფიციარ არაკომერციულ ორგანიზაციებს შორის. ამ თანამშრომლობითი პროექტების აღწერა ხელმისაწვდომია სპეციალურ ვებგვერდზე: **http://www.probonogeorgia.ge**.

პროექტები მოიცავდა ექვს ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას და ექვს ონლაინ ვებინარს ისეთ თემებზე, როგორიცაა: მარკეტინგი და გაყიდვები, სამართლებრივი საკითხები, ფინანსები და საგადასახადო კანონმდებლობა, Excel-ის მოწინავე ფუნქციები, ვიდეო კონტენტის შექმნა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.

საერთო ჯამში, ექვსი ბიზნეს კომპანიის 23-მა პროფესიონალმა 203 პრო ბონო საათი გაიღო. შედეგად, ექვსმა საზოგადოებრივი სარგებლის ორგანიზაციამ მიიღო პერსონალიზებული საკონსულტაციო მხარდაჭერა, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციისა და სოციალური საწარმოს 322-მა წარმომადგენელმა ისარგებლა ვებინარებითა და ვორქშოფებით.

CSRDG ასევე აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო დონეზე – მონაწილეობდა „პრო ბონო გლობალური ქსელის“ (Global Pro Bono Network) ონლაინ აქტივობებსა და წლის განმავლობაში გამართულ გენერალურ ასამბლეებში.

## ბიზნესებში CSR-ისა და მდგრადობის მხარდაჭერა

2025 წელს CSRDG-ის კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის გუნდმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კერძო სექტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაფართოებისა და ინსტიტუციონალიზაციის კუთხით. ეს სტრატეგიული მიმართულება განპირობებული იყო ბიზნესის მხრიდან მზარდი მოთხოვნით კვალიფიციურ მხარდაჭერაზე მდგრადობის სტრატეგიების, პროგრამებისა და მდგრადი განვითარების ანგარიშების შემუშავებაში. განახლებული სერვისები ხელმისაწვდომია CSR ცოდნის ჰაბზე.

კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის სფეროში 20-წლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, CSRDG ექსპერტულ მხარდაჭერას უწევს საქართველოში მოქმედ ნებისმიერი ზომის კომპანიას, რათა მათ საკუთარი ხედვა და მიზნები რეალობად აქციონ და მაქსიმალური სარგებელი მიიღონ პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობისგან. ორგანიზაციის სერვისები მოიცავს

ტრენინგებსა და სემინარებს, ინდივიდუალურ საკონსულტაციო მხარდაჭერას კონკრეტულ საჭიროებებზე დაყრდნობით და კონსულტაციებს B Corp სერტიფიცირებისთვის.

აპრილში CSRDG-მა დაიწყო მასშტაბური საკონსულტაციო პროექტი ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობ-კომპანიასთან – SOCAR Energy Georgia-სთან (SEG). რვათვიანი მუშაობის შედეგად მომზადდა SOCAR Energy Georgia-ს პირველი მდგრადობის ანგარიში, რომელიც შედგენილია Global Reporting Initiative (GRI) სტანდარტების შესაბამისად. ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე.

გარდა ამისა, CSRDG-ის ექსპერტები დაეხმარნენ მცირე პორტუგალიურ კომპანიას Qxote B Impact-ის შეფასების დასრულებასა და B Corp სერტიფიცირებისთვის მომზადებაში. ეს კონსულტაცია განხორციელდა B Lab Europe-ის B Leaders პროგრამის ფარგლებში, რომელიც მხარს უჭერს სერტიფიცირებული კონსულტანტების განვითარებას განვითარებად ბაზრებზე.

CSRDG-მ განაგრძო აქტიური მონაწილეობა კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის ეროვნულ და საერთაშორისო ქსელებში. გუნდი ჩართული იყო „გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის“ (Global Compact Network Georgia) მუშაობაში, მათ შორის სხვადასხვა სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში გამართულ სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში. მარტში, კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის პროგრამის ხელმძღვანელი მიწვეული იყო ირლანდიის მიერ ინიცირებულ “დემოკრატიის ინიციატივის” ბრენდის ფოკუს ჯგუფში (Democracy Initiative Brand Focus Group). ევროპელ ექსპერტებთან ერთად ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, რათა განხილულიყო ბრენდის პოზიციონირების როლი დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერებაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე მონაწილეობა მიიღო, როგორც მომხსენებელმა და ლექტორმა, შესაძლებლობების განვითარების სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის: JMO-ს საგაზაფხულო სკოლა – „CSR ევროკავშირში: გამოცდილება საქართველოსთვის“; ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების, სათემო ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოების სამუშაო შეხვედრები თემაზე: „რესურსების მობილიზაციის ალტერნატიული მეთოდები: ბიზნესთან თანამშრომლობა და ქრაუდფანდინგი“; და ვორქშოფები თემაზე: „ეფექტიანი და მდგრადი სამოქალაქო ინიციატივების ორგანიზების საფუძვლები“, სადაც განიხილებოდა კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხები.

## კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ვებ პლატფორმა

CSRDG-ის CSR საინფორმაციო ჰაბი კვლავ რჩება ერთადერთ ქართულ ონლაინ პლატფორმად, რომელიც სპეციალურად ეძღვნება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, მდგრადობასა და პასუხისმგებლიან ბიზნესს. პლატფორმა მომხმარებელს სთავაზობს რესურსებს, სიახლეებსა და პრაქტიკულ მაგალითებს საქართველოდან და საზღვარგარეთიდან. ის წარმოადგენს ცოდნის გაზიარების მნიშვნელოვან სივრცეს ბიზნესებისთვის, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

**<u>კარგი მმართველობის ხელშეწყობის მიმართულება -</u>** მიზნად ისახავს ღია და საჭიროებებზე ორიენტირებული მმართველობის მხარდაჭერას, სახელმწიფო უწყებებსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობისა და პროფესიული დიალოგის გაძლიერების გზით. ამ მიმართულების მთავარი ამოცანაა ცოდნის გაზიარება და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებაზე დაფუძნებული მიდგომების განვითარება. პროგრამა ხელს უწყობს სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის ცოდნის გაცვლას. ორგანიზაციის ექსპერტიზასა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, პროგრამა მხარს უჭერს სოციალური სერვისების მიწოდების, გარემოს დაცვისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული მიდგომების გაუმჯობესებას და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობას.

ამ მიზნით, მომზადებული ანალიტიკური მასალებისა და არსებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისა და პროფესიული დიალოგის ფორმატში. მიმართულება მოიცავს ორ ძირითად პროგრამას - მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამას.

**<u>მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამა</u>** - ხელს უწყობს შესაბამისი პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარებას და მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებას, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს უკეთ გააცნობიერონ და გამოიყენონ საკუთარი უფლებები.

**<u>ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა</u>** - მიმართულია საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდაზე და ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებაზე სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების უკეთ გააზრებისა და პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით.

კარგი მმართველობის ხელშეწყობის მიმართულების ფარგლებში, 1998 წლიდან განხორციელებულმა მრავალწლიანმა საქმიანობამ და სხვადასხვა ინიციატივამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროცესში. ჩვენი მიდგომა თვითმმართველობებთან მუშაობაში ეფუძნება ანალიზსა და პრაქტიკულ მხარდაჭერას, რაც უზრუნველყოფს გამოწვევების იდენტიფიცირებას და თანამშრომლობის გზით, რეკომენდაციებსა და კონსულტაციებზე დაყრდნობით, საქმიანობის გაუმჯობესებას.

2025 წელს, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა საჯარო სტრუქტურებთან სახელმწიფო შინმოვლის პროგრამის განვითარებისა და დახვეწის მიმართულებით. აღნიშნული საქმიანობის დეტალური აღწერა წარმოდგენილია სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში.

## მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობა 2009 წელს დაიწყო.

მოცემული პროგრამის მთავარი მიზანია საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა.

**პროგრამის ძირითადი საქმიანობები:**

1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

2. სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი

3. მომხმარებელთა დაცვის სისტემის გაუმჯობესების ადვოკატირება

4. მომხმარებელთა კონსულტაცია.

### მომხმარებლის უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

პროგრამამ  სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შემდეგი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები შეიმუშავა: 6 მოკლე ანიმაცია (ჯანსაღი კვება და სასურსათო პროდუქტების უარყოფითი თვისებები; სურსათის შენახვა და მისი გავლენა ხარისხსა და უვნებლობაზე; სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელი ხაზი; ევროინტეგრაცია და სურსათის უვნებლობა; მომხმარებლი უფლებები - ინფორმაცია სურსათის შესახებ; მომხმარებლის უფლებები - სურსათის უვნებლობა),1 ბუკლეტი, 6 გასაფერადებელი ბავშვებისათვის, 1 ონლაინქვიზი და 14 ელექტრონული პოსტერი. გარდა ამისა, ხელახლა დაიბეჭდა 2023-2024 წლებში პროგრამის მიერ მომზადებული 5 ბუკლეტი, რომლებიც სურსათის უვნებლობის საკითხებს მოიცავდა.

ეს იუმორისტულ სტილში მომზადებული მასალები ფართო საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად სურსათის უვნებლობისა და ჯანსაღი კვების საკითხების, ასევე, ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ.

მასალები გამოქვეყნდა ვებსაიტსა და ფეისბუქის გვერდზე momxmarebeli.ge. ბუკლეტებისა და გასაფერადებლების ნაბეჭდი ვერსიები რეგიონებსა და თბილისში დარიგდა. ონლაინქვიზი გამოქვეყნდა ვებსაიტზე on.ge (გადაზიარდა ვებსაიტზე momxmarebeli.ge).

პროგრამის ფარგლებში, 18 მედიასაშუალების 19 წარმომადგენლისათვის სურსათის უვნებლობის საკითხებზე ორდღიანი საინფორმაციო-საგანმანათლებლო სემინარი ჩატარდა. სემინარში ასევე მონაწილეობდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) წარმომადგენლები, რომლებმაც აუდიტორიას საკუთარი საქმიანობა გააცნეს და მასთან დისკუსია გამართეს.

პროგრამამ მედიაკონკურსი ჩაატარა სურსათის უვნებლობის საკითხებზე საუკეთესო მედიანამუშევრების გამოსავლენად. განაცხადები განიხილეს

პროგრამის თანამშრომლებმა და მედიის/სურსათის უვნებლობის ექსპერტებისაგან შემდგარმა სამკაციანმა ჟიურიმ. შეირჩა 3 გამარჯვებული, რომლებსაც პრიზებად სმარტფონები გადაეცათ.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში ჩატარდა 7 საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა თემაზე „სეს-ის საქმიანობა". სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლებმა უწყების საქმიანობისა და გამოწვევების შესახებ პრეზენტაციები წარადგინეს, რასაც კითხვა-პასუხი და დისკუსია მოჰყვა. ღონისძიებებს ესწრებოდნენ არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების, მედიის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიზნესის წარმომადგენლები - სულ 183 ადამიანი.

## სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი

პროგრამამ დაასრულა მონიტორინგის ინიციატივა საქართველოში თაფლის უვნებლობის საფრთხეებისა და სახელმწიფო კონტროლის შესაფასებლად. კვლევამ შეისწავლა თაფლის უვნებლობის კონტროლის არსებული მექანიზმები, ასევე გამოავლინა ძირითადი დაბრკოლებები და გამოწვევები, რომლებიც თაფლის უვნებლობის უზრუნველყოფას უშლის ხელს.

ამის შემდეგ, რეგიონულ პარტნიორ/გრანტის მიმღებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, პროგრამამ ორი მონიტორინგის კამპანია ჩაატარა: 1) მცენარეული ცხიმების უვნებლობასა და 2) პურისა და ზეთის უვნებლობაზე საქართველოში. კვლევები მოიცავდა ზემოაღნიშნული პროდუქტების სახელმწიფო კონტროლის ზოგად პირობებს. გარდა ამისა, პირველი კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა  ინდუსტრიული ტრანსცხიმების კონტროლზე. მონიტორინგის ანგარიშები გამოქვეყნდა ვებსაიტზე momxmarebeli.ge.

ზემოაღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში, CSRDG-ის რეგიონულმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა განახორციელეს საქართველოს 13 მუნიციპალიტეტის სავაჭრო ობიექტებში შეძენილი 31 მარგარინის ნიმუშისა და საქართველოს 17 მუნიციპალიტეტის სავაჭრო ობიექტებში შეძენილი 92 პურის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევები. ხოლო CSRDG-იმ თბილისში შეძელინი მარგარინის 35 და მცენარეული ზეთის 15 ნიმუში შეამოწმა. რეგიონულმა ორგანიზაციებმა ნიმუშები ადგილობრივ ლაბორატორიებს ჩააბარეს, ხოლო CSRDG-იმ ისინი საზღვარგარეთ გააგზავნა. საქართველოში ნიმუშები სურსათის დამაბინძურებლების ფართო სპექტრზე შემოწმდა. საზღვარგარეთ გაგზავნილი მარგარინის ნიმუშები ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობაზე შემოწმდა, ხოლო ზეთები - სამი დამაბინძურებლის შემცველობაზე, ევროკავშირში მოქმედი ნორმების შესაბამისად.

საზღვარგარეთ შემოწმებულ მარგარინის ნიმუშებს შორის 1 დარღვევა გამოვლენდა, რაც, ასევე, საქართველოში მოქმედი ინდუსტრიული ტრანსცხიმის ნორმის დარღვევას წარმოადგენდა.

რადიაციის გადაჭარბებული დონე დაფიქსირდა პურის 2 ნიმუშში. თუმცა, ცდომილების ზღვრების გათვალისწინებით, ანალიზების შედეგები შესაძლოა ნორმის ფარგლებში ყოფილიყო.

ევროკავშირის ნორმის მიხედვით, 3-MCPD-ის გადაჭარბებული დონე დაფიქსირდა ზეთის 1 ნიმუშში. თუმცა, შედეგი არ აჭარბებდა საქართველოში დაშვებულ ნორმას.

ამავე დროს, ასეთი შედეგი დარღვევად ჩაითვლება 2026 წლის 1 ივნისიდან, როდესაც საქართველოს შესაბამისი რეგულაციის  ევროკავშირის რეგულაციასთან დაახლოება მოხდება.

გარდა ამისა, ეტიკეტირების მოთხოვნების დარღვევები გამოვლინდა პურის 10 ნიმუშზე.

პურისა და ზეთის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევისა და ეტიკეტირების შემოწმების შედეგები ვებსაიტზე momxmarebeli.ge გამოქვეყნდა.

## მომხმარებელთა დაცვის სისტემის გაუმჯობესების ადვოკატირება

მონიტორინგის ანგარიშები, რომლებიც მოიცავდა ანალიტიკურ შეფასებებს, რეკომენდაციებსა და გამოვლენილ საკითხებს, გაზიარებულ იქნა შესაბამის საჯარო უწყებებთან — გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან და პარლამენტთან.

ანგარიშების ძირითადი მიგნებები და დაკვირვებები წარმოდგენილი იყო საჯარო და სამუშაო შეხვედრების ფორმატში, რაც უზრუნველყოფდა პროფესიული დიალოგისა და ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას შესაბამის უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

მარგარინის ნიმუშთან დაკავშირებული საკითხის განხილვის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, იმპორტიორმა პროდუქტი ლაბორატორიულად გადაამოწმა სააგენტოს რეკომენდაციის საფუძველზე. სააგენტომ ასევე დამოუკიდებლად აიღო ნიმუშები და იმავე ლაბორატორიაში ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგებითაც საქართველოში მოქმედი ტრანსცხიმის ნორმის გადაჭარბება არცერთ ნიმუშში არ დადასტურდა.

პურის ნიმუშებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, სააგენტოს ინფორმაციით მის მიერ განხორციელებული მეწარმეთა კონტროლის შედეგად შემოწმებულ პურის ნიმუშებში რადიაციის ჭარბი დონე არ გამოვლენილა. ამასთან, დადასტურდა ეტიკეტირების წესების დარღვევები და სხვა ხარვეზები, რომლებიც გამოვლინდა 11 მეწარმის საქმიანობის შესწავლის პროცესში, მათ შორის:

• ჰიგიენის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევები, რამაც კონკრეტულ შემთხვევაში საქმიანობის დახურვა გამოიწვია;
• საქმიანობა შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე — 7 შემთხვევაში, რის საფუძველზეც, რეგისტრაციის გავლამდე მეწარმეებს საქმიანობა შეუჩერდათ;
• მომხმარებლის ინფორმირების წესების განმეორებითი დარღვევა (ერთი წლის განმავლობაში) — 2 შემთხვევაში.

სააგენტომ შესაბამის სუბიექტებს მისცა რეკომენდაციები გამოვლენილი საკითხების აღმოსაფხვრელად და კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელა შესაბამისი რეაგირება-დაჯარიმა.

მცენარეული ცხიმების უვნებლობის საკითხზე მომზადებული ანალიტიკური მასალის განხილვის შედეგად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტრანსცხიმის ნორმის განახლებისა და მისი ევროკავშირის შესაბამის სტანდარტებთან დაახლოების შესახებ. აღნიშნული ცვლილებები აისახა 2025 წლის 13 ოქტომბერს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებში.

პროგრამის საქმიანობამ ხელი შეუწყო სურსათის უსაფრთხოების სფეროში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას და მომხმარებელთა დაცვის ხარისხის გაძლიერებას.

**მომხმარებელთა კონსულტაცია**

მოქალაქეებს 70 კონსულტაცია გაეწიათ სხვადასხვა სამართლებრივ და არასამართლებრივ საკითხზე, რაც მათ, როგორც მომხმარებლებს, საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვაში დაეხმარა.

**წარმატების ისტორია - ტრანსცხიმის ნორმის გამკაცრება**

მიმდინარე წელს CSRDG-მა განახორციელა მარგარინებისა და სპრედების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ანალიტიკური შეფასება, განსაკუთრებული ყურადღებით ინდუსტრიული ტრანსცხიმების საკითხზე. ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა არსებული რეგულირების გაუმჯობესების შესაძლებლობები საერთაშორისო პრაქტიკასთან მიმართებაში.

ანალიტიკური მასალების გაზიარებისა და პროფესიული დიალოგის ფარგლებში, შესაბამისმა უწყებებმა განიხილეს წარმოდგენილი მიგნებები და 2025 წელს განხორციელდა ტრანსცხიმის ნორმის განახლება, რაც დაახლოვდა ევროკავშირის სტანდარტებთან და საერთაშორისო პრაქტიკასთან. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე.

აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო სურსათის უსაფრთხოების სფეროში არსებული მიდგომების გაუმჯობესებას და მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერებას.

## ევროინტეგრაციის ხელშეწყობის  პროგრამა

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, CSRDG ხელს უწყობს რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობას ევროპული ინტეგრაციის პროცესში, მათ შორის ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული მონაწილეობისთვის საჭირო შესაძლებლობების განვითარებით.

მიმართულების მიზანია საზოგადოებისთვის უფრო გასაგებ ფორმატში წარმოაჩინოს, თუ რას გულისხმობს ასოცირების შეთანხმება და რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას სხვადასხვა სფეროში. ამავდროულად, პროგრამა ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და სხვადასხვა აქტორის კონსტრუქციულ ჩართულობას მიმდინარე პროცესებში.

**ძირითადი საქმიანობები:**

- ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მიმართულებების შესახებ **ექსპერტული ანალიტიკური მასალების მომზადება და შედეგების ვიზუალიზაცია**;
- ტრენინგები **და საინფორმაციო შეხვედრები** საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის ასოცირების შეთანხმების საკითხებზე;

- **ღია და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსების შექმნა**, მათ შორის მოკლე განმარტებითი ვიდეოები და ცოდნის შემოწმების ინსტრუმენტები;
- **მცირე საგრანტო მხარდაჭერა (5,000–10,000 ევრო)** რეგიონული ინიციატივებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებას ადგილობრივ დონეზე.

## ღია წვდომა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო რესურსებზე

საქართველო–ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება 30-ზე მეტ დარგს მოიცავს და წარმოადგენს მოცულობით და ტექნიკურად კომპლექსურ დოკუმენტს. იმისათვის, რომ საზოგადოებისთვის უფრო ხელმისაწვდომი და გასაგები გახდეს შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხები, ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში მზადდება მოკლე, მარტივად აღსაქმელი, **სახალისო ვიდეოები საზოგადოებისათვის** სხვადასხვა თემაზე.

ვიდეოებს თან ახლავს განმარტებითი მასალები და ცოდნის შემოწმების ინსტრუმენტები, რაც მომხმარებლებს ეხმარება ინფორმაციის უკეთ გააზრებაში. რესურსები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **ასოცირება-ჯი** (https://www.asocireba.ge/learn/).

2024 წლის ბოლოს მომზადდა და 2025 წლის დასაწყისში ვებ-გვერდზე განთავსდა **7 საინფორმაციო-საგანმანათლებლო, განმარტებითი ანიმაცია** (რატომ არის ეს კანონი რუსული? ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; კონკურენციის სამართალი; საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვა; ავტოტრანსპორტის რეგულირება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; სურსათის ევროპული კანონმდებლობა; ცხოველური წარმოშობის სურსათის რეგულირება), რომლებიც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს.

## კონტაქტი:

| | |
|---|---|
| **მისამართი:** | **მისამართი: თბილისი 0177, ჯებაშვილის I გასასვლელი N.5 (ყოფილი დელისის I შესახვევი, 5ა)** |
| **ტელეფონი:** | **(995 32) 2 39 90 19** |
| **E-mail:** | **office@csrdg.ge** |
| **ვებგვერდი:** | **www.csrdg.ge** |